

ნუცა მეუნარგია*

სუროგაციის სამართლებრივი რეგულირების ზოგიერთი პრობლემური ასპექტი

21-ე საუკუნე სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის ეპოქაა. სამედიცინო სფეროში არსებულმა მიღწევებმა ადამიანებს მისცა საშუალება მიეღოთ ისეთი მომსახურებები, რომელიც აქამდე წარმოუდგენელი იყო. ამის მაგალითს წარმოადგენს სუროგაცია, რომელიც ქალისა და მამაკაცის სქესობრივი კავშირის გარეშე ხელოვნური ემბრიონების ჩასახვა-გამოყენებად განიმარტება. ფაქტობრივად, იგი ოჯახის დაგეგმვის ერთ-ერთ ფორმასა და რეპროდუქციული ტურიზმის მთავარ სერვისს წარმოადგენს. კვლევის აქტუალობას განაპირობებს ექსტრაკორპორულ განაყოფიერებასთან დაკავშირებული მორალურ-ეთიკური და სამართლებრივი პრობლემატიკა. ნაშრომი ემსახურება მკვეთრი ზღვრის გავლენას უშვილობის მკურნალობასა და სამართლის სუბიექტის კომერციალიზაცია-ექსპლუატაციის საგნად ქცევას შორის. საქართველოში მოცემული საკითხის მომწესრიგებელი ნორმატიული აქტები თვალმისაცემ ხარვეზებს შეიცავს. მეტიც, რეგულირების მიღმა რჩება პრაქტიკაში აქტიურად გამოყენებული სამედიცინო მეთოდები, რაც ქმნის სამართლებრივ ვაკუუმსა და ადამიანის უფლებებში გაუმართლებელი ინტერვენციის საფრთხეს. ნაშრომის შესავალ ნაწილში მიმოხილულია სუროგაციის არსი და მისი დანიშნულება თანამედროვე საზოგადოებაში, შემდგომი ეტაპი ეძღვნება მისი სახეების სამედიცინო-სამართლებრივ განმარტებასა და კრიტიკას, ურთიერთმიმართების ძიებას სუროგაციის ხელშეკრულებას, მის ფორმას, არსებით პირობებსა და რეგისტრაციას შორის, რომელიც რეალობაში დიდი ხანია განხილვისა და დავის საგანს წარმოადგენს. ბოლოს კი კვლევის სისტემური და შედარებით-სამართლებრივი მეთოდების შედეგად, შემოთავაზებულია ამ პრობლემათა ანალიზი და მათი გადაჭრის ალტერნატიული გზები, რომელიც ეყრდნობა საერთაშორისო სტანდარტებს და მიემართება მათთან ჰარმონიზაციას.

საკვანძო სიტყვები: სუროგაცია, კონვენცია, კომერციალიზაცია, ექსპლუატაცია, უშვილობა, სუროგატი დედა.

შესავალი

საქართველოს კონსტიტუცია აღიარებს ადამიანის უფლებებსა და თავისუფლებებს, როგორც უშუალოდ და პირდაპირ მოქმედ სამართალს.¹ დემოკრატიული, სამართლებრივი და სოციალური სახელმწიფო პრინციპების

* ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტი.

ფარგლებში¹ იგი ვალდებულია უზრუნველყოს ამ უფლებათა სრულყოფილად განხორციელებისა და დაცვის სამართლებრივი ბერკეტებისა და გარანტიების შექმნა. 21-ე საუკუნე სამეცნიერო ტექნიკური პროგრესის ეპოქაა. სამედიცინო სფეროში არსებულმა მიღწევებმა ადამიანებს მისცა საშუალება მიეღოთ ისეთი მომსახურებები, რომლებიც აქამდე წარმოუდგენელი იყო. ამ უკანასკნელის თვალსაჩინო მაგალითს წარმოადგენს ექსტრაკორპორული განაყოფიერება-სუროგაცია, რომელიც ქალისა და მამაკაცის სქესობრივი კავშირის გარეშე ხელოვნური ემბრიონების ჩასახვა-გამოყენებად განიმარტება. საქართველოში იგი 1997 წლიდან ლეგალურად ითვლება და 2000 წლის 21 ივლისს აღნიშნული მეთოდით ბავშვის დაბადებამ საფუძველი დაუდო პროცედურას, რომელიც დღესდღეობით გავრცელებულ პრაქტიკას წარმოადგენს. მიუხედავად იმისა, რომ სუროგაცია ოჯახის დაგეგმვის ერთ-ერთ ფორმასა და რეპროდუქციული ტურიზმის მთავარ სერვისს წარმოადგენს,² არ არსებობს ერთიანი, უნიფიცირებული დამოკიდებულება დამხმარე რეპროდუქციული ტექნოლოგიების გამოყენებასთან დაკავშირებით. პრობლემის სიმწვავესა და საკითხის აქტუალურობას განაპირობებს ის რეალობა, რომ იგი მოიცავს როგორც სამართლებრივ, ისე ეთიკურ-სოციალურ წინააღმდეგობებს, რაც ხელს უშლის საერთაშორისო დონეზე აუცილებელი სტანდარტების დანერგვასა და მათ ჰარმონიზაციას თითოეული სახელმწიფოს კანონმდებლობასთან, აგრეთვე, ქმედითი კონტროლის მექანიზმების შემუშავებას.³ აღნიშნული თემის კვლევის საფუძველს წარმოადგენს ბიოლოგიისა და მედიცინის სფეროში ადამიანის ღირსებისა და მისი იდენტობის დაცვა, მისი პიროვნული განვითარებისა და რეპროდუქციული უფლებების უზრუნველყოფა. უშვილობა ის მდგომარეობაა, რომლის მკურნალობაც თანაბრად ხელმისაწვდომი უნდა იყოს და იგი პირდაპირ უკავშირდება ჯანმრთელობის უფლებას, რომელიც „ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის“ განმარტებით ღირსეული ცხოვრების მნიშვნელოვანი ასპექტია.

წინამდებარე ნაშრომის მიზანია სუროგაციის ხელშეკრულების მნიშვნელოვანი ასპექტებისა და როგორც ეროვნულ, ისე საერთაშორისო დონეზე მასთან დაკავშირებული კანონმდებლობის დეტალური რეგულირების საჭიროების წარმოჩენა, პრობლემათა იდენტიფიცირება და მათი გადაჭრის გზების ძიება, რომელიც, თავის მხრივ, ზოგადი რეკომენდაციების შემუშავებას საჭიროებს, ვინაიდან, საქართველოში მოცემული საკითხის მომწესრიგებელი ნორმატიული აქტები თვალშისაცემ ხარვეზებს შეიცავს. მეტიც, რეგულირების მიღმა რჩება პრაქტიკაში აქტიურად გამოყენებული სამედიცინო მეთოდები, რაც სამართლებრივ ვაკუუმს ქმნის. შესაბამისად, კვლევა ემსახურება

¹ საქართველოს კონსტიტუცია, მე-3, მე-4 და მე-5 მუხლები.

² *Hevia M.*, Surrogacy, Privacy, and the American Convention on Human Rights, *Journal of Law and the Biosciences*, Volume 5, Issue 2, August 2018, 379.

³ *Carbone J., Miller C.*, Surrogacy Professionalism, 31 *J. Am. Acad. Matrimonial Law*, 2018, 2.

აღნიშნული თემატიკის კომპარატივისტულ ანალიზსა და დამკვიდრებული მიდგომებისა თუ ტენდენციების სისტემატიზაციას.

1. სუროგაციის არსი და სახეები

ექსტრაკორპორული განაყოფიერება (განაყოფიერება სხეულის გარეთ) წარმოადგენს როგორც სამართლებრივ, ისე სამედიცინო სიახლეს, რამაც რამდენიმე ათეული წელია შესაძლებელი გახადა ადამიანის ხელოვნურად ჩასახვა ისეთი სამედიცინო ტექნოლოგიების გამოყენებით, რომლებმაც, ერთი მხრივ, უზრუნველყო უშვილობის პრობლემის გადაჭრა, დაამკვიდრა რა პრაქტიკა ორსული ქალის მიერ ბავშვის გაჩენისა იმ მიზნით, რომ ეს უკანასკნელი მსურველებს გადასცეს, ხოლო, მეორე მხრივ, შეცვალა საოჯახო სამართალში დამკვიდრებული პრინციპები ბავშვის იურიდიული მშობლების განსაზღვრის ასპექტში.⁴ ფაქტია, რომ სუროგაცია დღემდე ყველაზე საკამათო მეთოდად მიიჩნევა ხელოვნური რეპროდუქციის სფეროში,⁵ ვინაიდან, აღნიშნული რეპროდუქციური მიღწევების შედეგად, ქალს შეუძლია თავისი კვერცხუჯრედი დაორსულების გარეშე გამოიყენოს ან იყოს ორსულად ისეთ ბავშვზე, რომელიც მასთან გენეტიკურად კავშირში არ არის.⁶ საბოლოოდ კი იქმნება ერთგვარი გადახვევა პრეზუმფციისაგან – „ბავშვის დედა ყოველთვის ცნობილია“.⁷ თანამედროვე მედიცინა იძლევა საშუალებას ბავშვის ჩასახვისა და მასზე ზრუნვის პროცესში რამდენიმე პირი იყოს ჩართული.⁸ რაც შეეხება სახელმწიფოს როლს, იგი ვალდებულია გააკონტროლოს რეპროდუქციულ ტურიზმთან დაკავშირებულ ყველა არჩევანს, რომელიც ხელმისაწვდომია მოქალაქეთათვის.⁹ იმდენად, რამდენადაც სუროგაცია ოჯახის დაგეგმვის ფორმა და შვილად აყვანის ერთგვარი ალტერნატივაა, აუცილებელია გავანალიზოთ მისი თავისებურებები და დავუკავშიროთ იგი ქართულ კანონმდებლობას.

1.1. ტრადიციული სუროგაცია

ტრადიციული სუროგაცია ხელოვნური განაყოფიერების ხელმისაწვდომობით, მრავალჯერადობითა და შედარებით მარტივი პროცედურებით ხასიათდება. ამ უკანასკნელის პირობებში ხდება სუროგატი

⁴ *ბოგვერადე ნ.*, სუროგაცია/დონაციის სამართლებრივი რეგულირების პრობლემები საერთაშორისო და ეროვნულ დონეზე, თბ., 2017, 11, <<http://www.merriam-webster.com>> [20.01.2022].

⁵ *London C.*, Advancing a Surrogate-Focused Model of Gestational Surrogacy Contracts, 18 *Cardozo J.L. & Gender*, 2012, 392-393.

⁶ *Zehr J.*, Using Gestational Surrogacy and Pre-Implantation Genetic Diagnosis: Are Intended Parents Now Manufacturing the Idyllic Infant, 20 *Loy. Consumer L. Rev.* 2008, 303-304.

⁷ „Mater semper certa est“ (დედის ვინაობა ყოველთვის ცნობილია)-ძველრომაული პრინციპი.

⁸ *Tobin, J.* To Prohibit Or Permit: What Is The (Human) Rights Response To The Practice Of International Commercial Surrogacy? *International and Comparative Law Quarterly*, 2014, 325-326.

⁹ *Carbone J., Miller C.*, Surrogacy Professionalism, 31 *J. Am. Acad. Matrimonial Law*, 2018, 2.

დედის კვერცხუჯრედის გამოყენება. შესაბამისად, სუროგატი დედა ხდება ბავშვის ბიოლოგიური მშობელი.¹⁰ მას ბევრი მსგავსება აქვს შვილად აყვანასთან, რადგან სუროგატი დედა მასთან გენეტიკურად დაკავშირებულ ბავშვს გადასცემს პოტენციურ მშობლებს. ინ ვიტრო გაანაყოფიერების შექმნამდე სწორედ ეს გზა იყო ერთადერთი უშვილობის პრობლემის სამკურნალოდ. სუროგაციის ეს სახე არ არის მოთხოვნადი ქალის ბავშვთან გენეტიკური კავშირიდან გამომდინარე, მიუხედავად მისი სიიაფისა. მეტიც, კომპარატივისტულად რომ შევხედოთ, აშშ-ში ასეთ ბავშვზე მშობლის სტატუსის მოპოვების შესახებ დავისას უპირატესობა სუროგატს ენიჭებოდა.¹¹ პრაქტიკა შეცვალა ერთ-ერთმა გახმაურებულმა საქმემ Baby M, რომლის მიხედვითაც, სუროგატმა დედამ – უაიტჰედმა მოისურვა ახალშობილი მეუღლესთან ერთად მოტაცების გზით თავისთან დაეტოვებინა. მიუხედავად იმისა, რომ სასამართლომ სუროგაციის შესახებ ხელშეკრულება ბათილად ცნო, ბავშვის ინტერესებიდან გამომდინარე, სუროგატ დედას მაინც მიეცა პერიოდულად მისი მონახულების საშუალება.¹² კერძოდ, სასამართლომ ყურადღება გაამახვილა სუროგაციის შესახებ ხელშეკრულების ნამდვილობის შესაძლებლობაზე ხელშეკრულების თავისუფლების პრინციპიდან გამომდინარე, ხოლო სახელმწიფოს როლთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ ამ უკანასკნელს არ შეუძლია უარი თქვას რეპროდუქციასთან დაკავშირებული ხელშეკრულების აღსრულებაზე, ვინაიდან, ეს წყვილის მიერ ოჯახის შექმნის კონსტიტუციურ უფლებას არღვევს. მიუხედავად ამ ტენდენციისა, ნიუ ჯერსის უზენაეს სასამართლოში გასაჩივრებულ გადაწყვეტილებაზე ითქვა, რომ ხელშეკრულება არღვევს საჯარო წესრიგს და ქალისთვის დამამცირებელი ბუნება აქვს. სწორედ ეს გახდა მიზეზი სუროგატისათვის ბავშვთან კომუნიკაციის საშუალების მიცემისა.

1.2. გესტაციური სუროგაცია

გესტაციური სუროგაციის პირობებში ბავშვის პოტენციური მშობლები ხელშეკრულების ძალით ინარჩუნებენ მეტ კონტროლს სუროგატ დედაზე როგორც სამართლებრივად, ისე გენეტიკურად. ეს ლოგიკურიცაა, რადგან ხელოვნური განაყოფიერებისას გამოიყენება პოტენციური მშობლების ან დონორების სასქესო უჯრედები და ემბრიონი გადაიტანება სუროგატის სხეულში.¹³ უნაყოფობის მზარდი მაჩვენებელი პირდაპირაა დაკავშირებული ზემოხსენებული სუროგაციის მიმართ არსებული დიდი მოთხოვნისა.¹⁴ დიდი

¹⁰ *Strasser M.*, Traditional Surrogacy Contracts, Partial Enforcement, and the Challenge for Family Law, *Journal of Health Care Law and Policy*, Vol. 18, Issue 1, 2015, 87.

¹¹ *Bewkes F.*, Surrogate or Mother: The Problem of Traditional Surrogacy, 3 *Tenn. J. Race Gender & Soc. Just.*, 2014, 146-147.

¹² იქვე, 148.

¹³ <https://ka.clickforuns.net/2008-gestational-carriers-surrogacy.html>

¹⁴ *ახალაძე ნ.*, სუროგაციის ხელშეკრულების სუბიექტის სამართლებრივი მდგომარეობა, თბ, 2019, 13.

ხნის განმავლობაში საზოგადოებაში არსებობდა პრობლემა ტრადიციული და გესტაციური სუროგაციის ერთმანეთისაგან მკაფიო გამიჯვნისა, რომელიც გადაჭრა კალიფორნიის უმაღლესი სასამართლოს მიერ მიღებულმა გადაწყვეტილებამ საქმეზე *Calvert v Johnson*.¹⁵ განიმარტა, რომ დედობრივ ურთიერთობას ბავშვთან აყალიბებდა როგორც სუროგატი, ისე პოტენციური დედა, ვინაიდან, პირველი ატარებდა ბავშვს და ევალუბოდა მისი გაჩენა, ხოლო მეორეს ჰქონდა გენეტიკური კავშირი. სუროგატი ამ დავაში გამოდიოდა ერთგვარ სერვისის მიმწოდებლად, რომელიც გენეტიკურად უცხო იყო ბავშვისათვის, რამაც მისი იდენტიფიცირება გესტაციურ სუროგაციად მოახდინა.

1.3. სოციალური სუროგაცია

გაბატონებული პრაქტიკისა და ტენდენციების მიხედვით, სოციალური სუროგაცია, რომელიც, მართალია, განაყოფიერების ერთ-ერთი სახეა, დიდ კრიტიკას იმსახურებს. ეს უკანასკნელი რელევანტურიცაა, ვინაიდან, პოტენციური დედა, კოსმეტიკური, ესთეტიური ან კარიერული მიზნებიდან გამომდინარე, მიმართავს ამ მეთოდს.¹⁶ მას არ სურს ბავშვი საკუთარ სხეულში გამოზარდოს მიუხედავად იმისა, რომ აქვს ამის სრულყოფილი შესაძლებლობა. აღსანიშნავია, რომ სამედიცინო ჩვენებების გარეშე აღნიშნული ხელოვნური განაყოფიერების საშუალების გამოყენება მორალურ-ეთიკურად გაუმართლებელია. ამას გარდა, მსგავსი მოწესრიგება კიდევ უფრო უკონტროლოსა და ხარვეზულს გახდიდა სახელმწიფოთა შეთანხმებას სუროგაციის რეგლამენტაციის თაობაზე. ფაქტობრივად, იგი ადამიანის, ჩანასახის გაუმართლებელ ობიექტივიზაციას უწყობს ხელს და მას გადაუდებელი საჭიროების არსებობის გარეშე ვაჭრობის საგნად აქცევს, რაც თავად სუროგატი დედის ექსპლუატაციასაც იწვევს.

1.4. ალტრუისტული და კომერციული სუროგაცია

როგორც ეთიკურად, ისე სამართლებრივად საკმაოდ არაერთგვაროვანი დამოკიდებულებებით ხასიათება კომერციული და ალტრუისტული სუროგაცია, რომელთა შორისაც სხვაობა სუროგატი დედისათვის სუროგაციული მომსახურების სანაცვლოდ ანაზღაურების გადახდაშია.¹⁷ არაკომერციული სუროგაცია ემყარება ფილანტროპიულ საფუძვლებს, ვინაიდან, სუროგატი დედა თანახმაა ბავშვი გამოზარდოს საშვილოსნოში და გადასცეს იგი მშობლებს ყოველგვარი ანაზღაურების მიღების მოტივაციის გარეშე, რაც,

¹⁵ *Calvert v. Johnson*, კალვერტი ჯონსონის წინააღმდეგ <<https://caselaw.findlaw.com/ca-supreme-court/1774439.html>> [19.03.2022]

¹⁶ Ethical Issues In Obsterics And Gynecolody, The International Federation of Gynaecology and Obstetrics, October 2012, 69.

¹⁷ *ბოგვერაძე ნ.*, სუროგაცია/დონაციის სამართლებრივი რეგულირების პრობლემები საერთაშორისო და ეროვნულ დონეზე, თბ., 2017, 39.

ხშირად, მორალურ სტანდარტებს ემყარება.¹⁸ თუმცა ეს ყოველივე არ გამორიცხავს კონკრეტული გადასახდლებისა თუ ხარჯების დაკისრებას პოტენციურ მშობლებზე. აღნიშნული განსხვავებულად რეგულირდება სხვადასხვა სახელმწიფოს კანონმდებლობით. მაგალითისთვის შეგვიძლია მოვიყვანოთ დიდი ბრიტანეთი, რომელიც მყარად დგას ალტრუისტული სუროგაციის შენარჩუნების პოზიციაზე და არ განიხილავს მისი კომერციალიზაციის ალტერნატივას,¹⁹ შესაბამისად, ანაზღაურებადად აცხადებს მხოლოდ გონივრულ ხარჯებს, რაც საკმაოდ ბუნდოვანი და ფართოდ ინტერპრეტირებადი ცნებაა, თუმცა ამაში მოიაზრება მშობიარობის, ძალების აღდგენისა და საჭირო პროცედურების ჩატარების თანხა. მსგავსი მიდგომებია საბერძნეთშიც, თუმცა იგი ითვალისწინებს განცდილი ზიანისა და ხელოვნური განაყოფიერების პროცედურის, ასევე მიუღებელი შემოსავლის ანაზღაურებას ფეხმძიმობის პერიოდში.²⁰

რაც შეეხება კომერციულ სუროგაციას, მისი მთავარი მახასიათებელია ანაზღაურება, რადგან სუროგატი დედა მხოლოდ მის სანაცვლოდ თანხმდება როგორც გესტაციის სერვისს, ისე ბავშვის პოტენციური მშობლებისათვის გადაცემას.²¹ უშვილობის პრობლემის მქონე წყვილები მსოფლიოს სხვადასხვა წერტილიდან მიემართებიან ისეთ სახელმწიფოებს, სადაც ეს უკანასკნელი ნებადართულია და რომელიც საერთაშორისო სუროგაციის სავაჭრო ცენტრს ქმნის. გაეროს ასამბლეის 2018 წლის ანგარიშის თანახმად, ასეთი ქვეყნების სიაშია საქართველო, რუსეთი, უკრაინა, აშშ-ში კალიფორნიის შტატი და ასე შემდეგ.²² კომერციული სუროგაციის გარშემო საკმაოდ პრობლემატურია მისი გადაკვეთა ღირსების უფლებასთან, რომელიც აბსოლუტურია, ასევე ქალთა ექსპლუატაციის საკითხთან, ორსულობისა და მშობიარობის, დედის იდენტიფიკაციის შესახებ ტრადიციული საოჯახოსამართლებრივი ინსტიტუტების ცვლილებასთან, რადგან ამ პროცედურათა კომერციალიზაციამ შეიძლება უკონტროლო და ჩრდილოვანი ზონა წარმოქმნას. მოწინააღმდეგეთა მთავარ არგუმენტს წარმოადგენს ის გარემოება, რომ ფინანსურად შეძლებული წყვილი მძიმე მატერიალურ პირობებში მყოფი ქალის მზადყოფნას შესაძლოა ბოროტად იყენებდეს. კერძოდ, სუროგატი დედები ხელშეკრულებას დებენ საკუთარი ოჯახების სარჩენად, რადგან მათი შემოსავალი სტატისტიკურად ძალიან დაბალია, ახალშობილი კი, რომელიც სამართლის სუბიექტი უნდა

¹⁸ *Vodo T.*, Altruistic Surrogacy, Why to Oppose Empathetic Gestures?, ECPM, 2016, 2.
¹⁹ *Cohen I. G.*, Note, The Price of Everything, The Value of Nothing: Reframing The Commodification Debate, 117 HARV. L. REV., 2003–04, 689.
²⁰ Second Report of the Surrogacy UK Working Group on Surrogacy Law Reform, Surrogacy in the UK, December 2018, 7. <<https://surrogacyuk.org/2018/12/31/surrogacy-survey-2018-results>> [23.01.2022]
²¹ Greek Civil Code, Article 1458, Law 3089/2002, Enforcement of Medically Assisted Reproduction, Article 13, Law 3305/2005.
²² *Choudhury C.*, Transnational Commercial Surrogacy: Contracts, Conflicts, and the Prospects of International Legal Regulation, Oxford Handbooks Online, (2016, 7.
²³ Report of the Special Rapporteur on the Sale and Sexual Exploitation of Children, Including Child Prostitution, Child Pornography and Other Child Sexual Abuse Material, United Nations General Assembly, 2018, 4.

იყოს, მის ობიექტადა და ვაჭრობის საგნად განიხილება.²³ ამას გარდა, ანაზღაურებადი სუროგაციის მიმართ უკმაყოფილების გამოხატვის ერთ-ერთი მიზეზი ის ფაქტია, რომ ნაყოფის ორსულობის პერიოდში დაკარგვა ან მკვდრად დაბადება ნაკლები თანხის გადახდის ვალდებულებას აკისრებს მშობლებს, ეს კი ემბრიონის ობიექტივიზაციას მიემართება. სუროგაციის საწინააღმდეგო ეთიკური არგუმენტები ეფუძნება იმ შეხედულებებს, რომ ეს უკანასკნელი არღვევს არსებულ მორალურ სტანდარტებს, ახდენს სუროგატი დედისა და ბავშვის კომოდიფიკაციას. ითვლება, რომ ამით ირღვევა სუროგატი დედისა და ბავშვის ღირსების უფლება, რაც საფრთხეს უქმნის სამოქალაქო ბრუნვასაც, ვინაიდან, ორივე მათგანი კომერციული შეთანხმების ობიექტად განისაზღვრება.²⁴

2. საკითხის საკანონმდებლო რეგლამენტაცია ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე

როგორც უკვე აღინიშნა, ჯანმრთელობის უფლება თავის თავში რეპროდუქციული უფლებების თანაბარ ხელმისაწვდომობასაც მოიცავს, რაც, თავის მხრივ, ხაზგასმულია 1966 წლის „ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების საერთაშორისო პაქტის“ მე-12 მუხლში, რომელიც მის მონაწილე სახელმწიფოებს ავალებს ადამიანის ფიზიკური და ფსიქიკური ჯანმრთელობის უფლების „უმაღლეს შესაძლო სტანდარტზე“ აღიარებასა და დაცვას. სქესობრივი და რეპროდუქციული ჯანმრთელობა ოჯახის დაგეგმვის უმნიშვნელოვანესი ნაწილია და თავის თავში მოიცავს ადამიანების შესაძლებლობას ჰქონდეთ დამაკმაყოფილებელი და უსაფრთხო სქესობრივი ცხოვრება და გამრავლების უნარი. გაეროს მოსახლეობისა და განვითარების საერთაშორისო კონფერენცია ადგენს კავშირს ზემოხსენებულ უფლებებს, ადამიანის უფლებებსა და მდგრად განვითარებას შორის, ვინაიდან, ამ შესაძლებლობათა არარსებობის პირობებში, ადამიანებს არ აქვთ შესაძლებლობა გააკეთონ საკუთარ სხეულთან და შთამომავლობასთან დაკავშირებული რიგი არსებითი მნიშვნელობის მქონე არჩევანი.²⁵ სწორედ ამ საერთაშორისო სამართლებრივი მიდგომების გათვალისწინებით, ჯანმრთელობის დაცვის შესახებ საქართველოს კანონი აწესრიგებს ურთიერთობებს სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებსა და ფიზიკურ/იურიდიულ პირებს შორის მოქალაქეთა ჯანმრთელობის დაცვის სფეროში. ამ უკანასკნელის 143-ე მუხლში კი მოცემულია კონკრეტული

²³ A Comparative Study on the Regime of Surrogacy in EU Member States, European Parliament's Committee on Legal Affairs, May 2013, 26.

²⁴ Perreau-Saussine L. and Sauvage N., France, in: International Surrogacy Arrangements, Legal Regulation at the International Level, Edited by K. Trimmings and P. Beaumont, Oxford-Portland-Oregon, 2013, 120.

²⁵ „სქესობრივი და რეპროდუქციული ჯანმრთელობა“ [https://georgia.unfpa.org/ka/topics/სქესობრივი-და-რეპროდუქციული-ჯანმრთელობა.\[13.03.2022\]](https://georgia.unfpa.org/ka/topics/სქესობრივი-და-რეპროდუქციული-ჯანმრთელობა.[13.03.2022])

დანაწესი ექსტრაკორპორულ განაყოფიერებასთან დაკავშირებით, რომელიც ნებადართულია უშვილობის მკურნალობის მიზნით, ასევე ცოლის ან ქმრის მხრიდან გენეტიკური დაავადების გადაცემის რისკის არსებობისას, წყვილის ან დონორის სასქესო უჯრედების ან ემბრიონის გამოყენებით, თუ მიღებულია წყვილის წერილობითი თანხმობა. აგრეთვე, მაშინ, როდესაც ქალს არ აქვს საშვილოსნო და პროცესი მიმდინარეობს განაყოფიერების შედეგად მიღებული ემბრიონის სუროგატი დედის საშვილოსნოში გადატანისა და გამოზრდის გზით, წყვილის წერილობითი თანხმობიდან გამომდინარე. აღსანიშნავია ისიც, რომ ამავე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, ბავშვის დაბადების შემთხვევაში, წყვილი ითვლება მშობლებად, ამიტომ პასუხისმგებლობითა და უფლებამოსილებით სწორედ წყვილი სარგებლობს. დონორს ან სუროგატ დედას არ აქვს დაბადებული ბავშვის მშობლად ცნობის უფლება, რაც საკმაოდ განსხვავდება ზემოხსენებული მიდგომებისაგან და სუროგატ დედას უწყვეტს ყოველგვარ სამართლებრივ კავშირს ახალშობილთან.²⁶ მიზანშეწონილია, თითოეული წინაპირობის მიმოხილვა. წინარე იმპლანტაციური გენეტიკური დიაგნოსტიკა საშუალებას იძლევა მშობლებმა გამოიკვლიონ ემბრიონის გენეტიკური პათოლოგიები მანამ, სანამ იგი საშვილოსნოში გადაიტანება.²⁷ რაც შეეხება საშვილოსნოს არქონას, ეს მდგომარეობა შეიძლება რამდენიმე მიზეზით იყოს გამოწვეული. საშვილოსნო ქალს შეიძლება დაბადებით არ ჰქონდეს ან ამოიკვეთოს ოპერაციის შედეგად, რომელსაც ჰისტერექტომია ეწოდება, თუნდაც სიმსივნური წანაზარდის პირობებში. მოცემული მოწესრიგება კანონში ხარვეზიანია, რაც გამომდინარეობს დანაწესის მიზნიდან, იგი იძლევა საშუალებას, რომ უშვილო ქალმა, რომელსაც საშვილოსნოს არქონის გამო არ შეუძლია გენეტიკურად მასთან დაკავშირებული შთამომავალი წარმოშვას, იყოლიოს ეს უკანასკნელი სუროგაციის გზით. სწორედ ამიტომ, აუცილებელია მსჯელობა იმაზე, რომ ნორმის მხოლოდ სიტყვასიტყვით და გრამატიკულად განმარტება სამართლებრივად გაურკვეველ სიტუაციას ქმნის. მაგალითისთვის შეგვიძლია მოვიყვანოთ ქალი, რომელსაც სიმსივნის მკურნალობის შედეგად წაერთვა შესაძლებლობა დაორსულდეს მიუხედავად იმისა, რომ მას აქვს საშვილოსნო, თუმცა არ აქვს საკვერცხე, საშვილოსნოს ყელი და ასე შემდეგ. ანდაც მას მკურნალობის შედეგად არ შეუძლია შვილის გაჩენა, მაგრამ ყველა ზემოხსენებული ორგანო ადგილზე აქვს.²⁸ თუ ჩვენ ნორმას ფართოდ, მისი მიზნიდან და სამართლიანად განვმარტავთ, გამოდის, რომ უშვილო ქალს უნდა შეეძლოს სუროგაციის გზით შვილის ყოლა მაშინ, როდესაც სახეზეა შეუქცევადი ჯანმრთელობის პრობლემა, რომელიც მას ამ შესაძლებლობას

²⁶ „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონი <<https://matsne.gov.ge/ka/document/view/29980?publication=46>>

²⁷ “Preimplantation genetic diagnosis” <<https://americanpregnancy.org/infertility/preimplantation-genetic-diagnosis>> “Inheriting Genetic Conditions” <<https://ghr.nlm.nih.gov/primer/inheritance/riskassessment>> [23.03.2022].

²⁸ *Sreenivas K.*, Domestic and International Surrogacy Laws: Implications for Cancer Survivors, Woodruff Lab, Chapter 10, Chicago, 2010.

უსპობს. ეს შესაძლოა იყოს თუნდაც მრავალგზის ნაყოფის მოწყვეტა, ხელოვნური განაყოფიერების რამდენიმე უშედეგო მცდელობა²⁹ და სხვა ან ისეთი მდგომარეობა, როდესაც დაფეხმძიმება ქალის ჯანმრთელობას პირდაპირ უქმნის საფრთხეს³⁰ მაშინ, როცა მას რიგი ქრონიკული და მწვავე დაავადებები აქვს. წინააღმდეგ შემთხვევაში, არსებული დანაწესი მისი შექმნის მიზანს სრულყოფილად ვერ ემსახურება და, ფაქტობრივად, ასახავს იმ რეალობას, როდესაც უშვილობის მკურნალობა დაყოფილია კონკრეტულად საშვილოსნოს არსებობით. სუროგაციით სარგებლობის შესაძლებლობა კი მხოლოდ არარაციონალურად, ბუნდოვნად, დიფერენცირებულ ჯგუფს ენიჭება. ასეთი რეგლამენტაცია ჰარმონიზირებულია მსოფლიოს ჯანდაცვის ორგანიზაციის მიერ ჩამოყალიბებულ პირველად და მეორეულ უშვილობის შემთხვევებთან.

ერთადერთი სავალდებულო ხასიათის საერთაშორისოსამართლებრივ დოკუმენტს, რომელიც ეხება დამხმარე რეპროდუქციული ტექნოლოგიების გამოყენების კონკრეტულ ასპექტებს, წარმოადგენს 1997 წელს მიღებული კონვენცია „ადამიანის უფლებებისა და ბიომედიცინის შესახებ“, რომელიც ოვიედოს კონვენციადაც მოიხსენიება. საქართველოს პარლამენტის მიერ იგი 2000 წლის 27 სექტემბერს იქნა რატიფიცირებული და ამოქმედდა 2001 წლის 1-ლი მარტიდან. მოცემული კონვენციის პირველი მუხლის თანახმად, კონვენციის მონაწილე მხარეებმა უნდა დაიცვან ადამიანის ღირსება და ინდივიდუალობა, ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე უზრუნველყონ მათი ხელშეუხებლობა და სხვა უფლებები და ძირითადი თავისუფლებები ბიოლოგიასა და მედიცინაში. ამავე კონვენციის მეორე მუხლის თანახმად კი, ადამიანის ინტერესები და კეთილდღეობა უზენაესია საზოგადოებისა და მეცნიერების ინტერესებთან შედარებით. მოცემული კონვენციის შინაარსიდან გამომდინარე, ადამიანის გენომის ცვლილების განსახორციელებლად ჩარევას მხოლოდ პროფილაქტიკური, თერაპიული ან დიაგნოსტიკური მიზანი უნდა ჰქონდეს და ეს არ უნდა იგივდებოდეს შთამომავლობის გენომის ნებისმიერი სახით შეცვლასთან. ეს უკანასკნელი ასახულია მე-13 მუხლში. გარდა ამისა, აკრძალულია მომავალი ბავშვის სქესის შერჩევის მიზნით რაიმე დამხმარე სამედიცინო ტექნოლოგიის გამოყენება, გარდა იმ შემთხვევისა, თუ კონკრეტული მემკვიდრეობითი დაავადება სქესს უკავშირდება და მისი თავიდან აცილება აუცილებელია. დაუშვებლადია ცნობილი ადამიანის ემბრიონის შექმნაც, ხოლო, თუ სახეზეა ემბრიონზე ინ ვიტრო კვლევის ჩატარება, აუცილებელია მისი დაცვა.³¹ ყველაზე მნიშვნელოვანი და სადავო დანაწესი კი აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით არის კონვენციის 21-ე მუხლის განმარტება, რომლის მიხედვითაც, ადამიანის ორგანიზმი და მისი

²⁹ „8 facts about having a baby with a surrogate“ <<https://www.health.com/pregnancy/having-baby-with-gestational-surrogate>> [24.03.2022].

³⁰ *ბოგვერაძე ნ.*, სუროგაცია/დონაციის სამართლებრივი რეგულირების პრობლემები საერთაშორისო და ეროვნულ დონეზე, სადისერტაციოს ნაშრომი, 2018, 324-325.

ნაწილები არ შეიძლება გახდეს ფინანსური სარგებლობის წყარო. ე.ი საერთაშორისო ხელშეკრულება დაუშვებლად აცხადებს ადამიანის სამართლის ობიექტად ქცევასა და მისი ნაწილების კომერციალიზაციას, რითაც იცავს მის ღირსების უფლებასა და სამოქალაქო ბრუნვას.³²

რაც შეეხება არასავალდებულო ხასიათის საერთაშორისოსამართლებრივ დოკუმენტს, რომელიც რეპროდუქციული ტექნოლოგიების საკითხს აწესრიგებს, ასეთს წარმოადგენს 1989 წელს მიღებული „ევროსაბჭოს პრინციპები“, თუმცა მას სარეკომენდაციო ხასიათი აქვს ევროსაბჭოს წევრი სახელმწიფოებისათვის. იგი ადგენს კონკრეტულ შეზღუდვებსა და აკრძალვებს ადამიანის ხელოვნურად ჩასახვის ტექნოლოგიების გამოყენებასთან დაკავშირებით. ევროსაბჭოს მოქმედი კომიტეტის ანგარიშში გარკვევითაა ასახული, რომ აუცილებელია წყვილი ჰეტეროსექსუალი იყოს, უნაყოფობის მკურნალობა სხვაგვარად უშედეგო მცდელობას წარმოადგენდეს, არსებობდეს საფრთხე მემკვიდრული დაავადების გადაცემისა ან ისეთი დაავადების გადაცემისა, რომელიც ბავშვის ნაადრევ სიკვდილს ან უნარშეზღუდულობას გამოიწვევს ან სახეზე იყოს გონივრული შანსი წარმატებისა, რომლის პირობებშიც არ აღინიშნება დედის ან ბავშვის ჯანმრთელობისათვის ზიანის მომტანი რისკები.³³ ამასთან დაკავშირებით, აღსანიშნავია 2020 წლის 25 აგვისტოს საქართველოს იუსტიციის მინისტრის N598 ბრძანება „სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის წესის დამტკიცების შესახებ“, რომლითაც 2012 წლის 31 იანვრის №18 ბრძანებით დამტკიცებული წესის მე-19 მუხლი შეცვალა და დააბუსტა, რომ ტერმინში „წყვილი“ მოიაზრებს ჰეტეროსექსუალ ქალსა და კაცს, რომლებიც რეგისტრირებულ ქორწინებაში არიან ან ფაქტობრივად თანაცხოვრებენ მინიმუმ 1 წლის განმავლობაში და ამის დამადასტურებელი მტკიცებულებები (მათ შორის, შესაძლო რელიგიური ქორწინების დამადასტურებელი მოწმობა)³⁴ გააჩნიათ. როგორც ჩანს, ქართული საკანონმდებლო მოწესრიგება მეტწილად თანხვედრაშია საერთაშორისოსამართლებრივ მიდგომებთან. მიუხედავად ამისა, სახელმწიფოთა შორის არ არსებობს სუროგაციასთან დაკავშირებული კონსენსუსი, როგორც უნიფიცირებული მიდგომა, შესაბამისად, თითოეული სახელმწიფო შესაბამისი მარეგულირებელი ნორმების საფუძველზე აწესრიგებს რეპროდუქციული ტექნოლოგიის გამოყენებასთან დაკავშირებულ დავებს, რაც აფერხებს ერთი კონკრეტული სასამართლოს მიერ

³² „ადამიანის უფლებებისა და ბიომედიცინის შესახებ“ კონვენცია <https://matsne.gov.ge/ka/document/view/1204413?publication=0> 1-ლი, მე-2, მე-13, მე-14, მე-18 , 21-ე მუხლები.

³³ Report on Human Artificial Procreation Principles-Set out in the Report of the Ad Hoc Committee of Experts on Progress in The Biomedical Sciences, 1989. <<https://rm.coe.int/16803113e4>>

³⁴ „სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანება N18 <https://matsne.gov.ge/ka/document/view/1572063?publication=0>

დამკვიდრებული პრაქტიკის გაზიარებასა და ერთიანი ტენდენციის ჩამოყალიბებას.

როგორც უკვე აღინიშნა, სუროგაციასთან დაკავშირებით მკაფიო სამართლებრივი თუ ეთიკური აზრთა სხვადასხვაობა არსებობს. სუროგაციის მოწინააღმდეგეთა მთავარ არგუმენტს წარმოადგენს ის შეხედულება, რომ ეს უკანასკნელი ამორალურია, ახდენს გაჭირვებაში მყოფი სუროგატი დედის ექსპლუატაციასა და ამ გზით დაბადებული ბავშვის კომერციალიზაციას. ამ მოცემულობაში წინაა წამოწეული რელიგიის ფაქტორიც, ვინაიდან, რელიგიურ ორგანიზაციათა უმრავლესობა სუროგაციის წინააღმდეგია. მათი აზრით, იგი ქორწინების ერთობასა და ღირსების უფლებას არღვევს.³⁵ არ შეიძლება იმის თქმა, რომ მოცემული შეხედულება ყოველგვარ საფუძველსაა მოკლებული, ვინაიდან, 1981 წელს ამერიკის სასამართლოს მიერ მიღებულმა გადაწყვეტილებამ სუროგაცია ადამიანით ვაჭრობად გამოაცხადა და სისხლის სამართლის დანაშაულს გაუთანაბრა.³⁶ მთავარი პრობლემა ისაა, რომ სუროგაცია, ძალიან ხშირად, იგივეა ადამიანის ორგანოთა ტრანსპლანტაციასთან. უამრავი მეცნიერი მიიჩნევს, რომ სუროგაცია იძლებითი შრომის ყველაზე მძიმე ფორმაა და მისი მიზანი არა სიცოცხლის შექმნა, არამედ შემოსავლის მიღებაა.³⁷ ამას გარდა, პრობლემურია ოვიედოს კონვენციის 21-ე მუხლის ინტერპრეტაციაც, ვინაიდან, კომერციული სუროგაციის მოწინააღმდეგეები დაუშვებლად ცნობენ სუროგატი დედისათვის ხარჯების ანაზღაურების გადახდის გარდა სხვა სახის კომპენსაციის მიკუთვნებას, რადგან ისინი ამას ფინანსური სარგებლობის მიღების ნაცვლად ადამიანით ვაჭრობად თვლიან, მიუხედავად იმისა, რომ არც თვითონ კონვენციასა და არც შემდგომ განმარტებით მემორანდუმში სუროგაციაზე აქცენტი არ არის დასმული. მნიშვნელოვანია, რომ ოვიედოს კონვენციის, როგორც ბიოეთიკის საერთო პრინციპების ერთობლიობაში განხილვა ღირსების უფლების გათვალისწინებით უნდა მოხდეს. იგი ითვალისწინებს არა მხოლოდ ინდივიდუალურ, არამედ საზოგადოებრივ ინტერესებსაც. არსებულ მოსაზრებათა თანახმად, პირის მორალური არჩევანი იყოს სუროგატი დედა და საკუთარ სხეულს მიაყენოს გარკვეული ზიანი ბავშვის გასაჩენად ადამიანის ღირსებისა და ავტონომიის საფუძველია.³⁸ მიუხედავად ამ ყველაფრისა, ზემოხსენებული კონვენციის მუხლი უნდა განიმარტოს იმ მიმართულებით, რომ ადამიანის სხეული ან მისი ნაწილი ამ ადამიანის ან სხვა ნებისმიერი მესამე პირის მიერ ფინანსური მოგების წყაროდ არ უნდა იქნეს გამოყენებული, რაც

³⁵ Brunet L., Carruthers J., Davaki K., King D., Marzo C., Mccandless J., *A Comparative Study on the Regime of Surrogacy in EU Member States*, European Parliament, Directorate-General for Internal Policies, Policy Department C: Citizens' Rights and Constitutional Affairs, 2013, 23.

³⁶ Winslade W. J., *Surrogate Mothers: Private Right or Public Wrong?*, *Journal of Medical Ethics*, Vol. 7, Issue 3, 1981, 153.

³⁷ Kimbrell A., *The Case Against the Commercialization of Childbearing*, *Willamette Law Review*, Vol. 24, Issue 4, 1988, 1036.

³⁸ Beylvelde D., Brownsword R., *Human Dignity in Bioethics and Biolaw*, Oxford University Press, Oxford, 2001, 40-44.

ადამიანის ობიექტივიზაციისა და კომერციალიზაციის პრევენციას ემსახურება. ეს წარმოადგენს საფუძველს სახელმწიფოთა მხრიდან, ამ რისკების გათვალისწინებით, შექმნან სამართლებრივი ბაზა სუროგაციის მოწესრიგებასთან დაკავშირებით, თუმცა რისკების არსებობა, თავისთავად, არ ნიშნავს ამ რისკების შემცველი პრაქტიკის აკრძალვის ტენდენციის დამკვიდრებას სახელმწიფოებში. უშვილობის მკურნალობა იძლევა საშუალებას ადამიანი თავისუფლად განვითარდეს, სრულყოფილად ისარგებლოს თავისი რეპროდუქციული, სქესობრივი და ჯანმრთელობის უფლებებით, იცხოვროს ღირსეული ცხოვრებით ამ ტერმინის კონსტიტუციურ-სამართლებრივი გაგებით. ისევე, როგორც ეს ორგანოთა ტრანსპლანტაციის რეგლამენტაციისას ხდება, ანაზღაურება, რომელიც სუროგატ დედას გადაეცემა, არის არა მისი სხეულის „დაქირავების ფასი“, არამედ მისი განცდების, მორალური და ფიზიკური მზაობის, განვლილი დისკომფორტისა და საპასუხისმგებლო პერიოდის დამსახურებული კომპენსაცია, რომელიც მიზნად ისახავს შვილის მსურველთა მშობლად გახდომას და არა სუროგატი დედის ფინანსური მდგომარეობით მანიპულაციას, მის ექსპლუატაციას. საკითხისადმი ამგვარი დამოკიდებულებით შეიძლება ჩამოყალიბდეს უფრო ცხადი და ერთიანი მიდგომა ადამიანის სხეულის ნაწილების სამართლებრივი მოწესრიგებისათვის. მსგავსი აზრის საფუძველად შეიძლება მიჩნეულ იქნეს კონვენციის მემორანდუმიც, რომლის 21-ე მუხლის მიხედვითაც, არ იკრძალება პირის მიერ ორგანოსა თუ ქსოვილის აღების სანაცვლოდ კომპენსაციის მიღება, რადგან ეს უკანასკნელი გაწეულ ხარჯებსა და მიუღებელ შემოსავალს წარმოადგენს.³⁹ მართალია, აღნიშნულ მემორანდუმს სავალდებულო ძალა არ აქვს და ევროსაბჭოს პრინციპები საკითხს მხოლოდ ვიწროდ აწესრიგებს, მაგრამ ნორმათა უფრო ვიწრო განმარტების პირობებში ჩამოყალიბდება რეალობა,⁴⁰ რომელიც სუროგაციას მხოლოდ ალტრუისტული მიზნებით ამართლებს და იწვევს ჩრდილოვანი, უკონტროლო ბაზრისა და სივრცის შექმნას, რომელიც ბევრად უფრო საშიშია ქალთა ექსპლუატაციასთან მიმართებით. უფრო კონკრეტულად, გესტაციური სუროგაციის დაშვება სახელმწიფოს მხრიდან ადამიანებისათვის უშვილობის მკურნალობისა და რეპროდუქციული უფლებების განხორციელების პოზიტიური ვალდებულებაა, რომელსაც არ აქვს უარყოფითი გავლენა საზოგადოებრივ ცხოვრებასა და მართლწესრიგზე სუროგატი დედის ოჯახთან კავშირის არარსებობის პირობებში ბავშვის დაბადების შემდგომ. ამ საკითხის გადაწყვეტისას ჩვენი სახელმძღვანელო დებულება თავად სუროგაციის ხელშეკრულების მიზანი უნდა იყოს, რომელიც მშობლებად გახდომის განზრახვას წარმოადგენს და არა ბავშვის გაყიდვას თანხის სანაცვლოდ.⁴¹ რაც შეეხება ღირსების უფლებას,

³⁹ Council of Europe, Explanatory Report to the Convention for the Protection of Human Rights and Dignity of the human Being with regard to the Application of Biology and Medicine: Convention on Human Rights and Biomedicine, 1996, 18-20.

⁴⁰ Report on Human Artificial Procreation <<https://rm.coe.int/16803113e4>> [25.03.2022].

⁴¹ *Damelio J. and Sorensen K.*, Enhancing Autonomy in Paid Surrogacy, *Bioethics*, Vol. 22, Issue 5, 2010, 271-272.

სწორედ მისი დაცვისათვისაა აუცილებელი ზემოხსენებულ უფლებათა თანაბარი ხელმისაწვდომობა წინაპირობების არსებობის შემთხვევაში. ანალოგიური პარალელის გავლება შეიძლება აბორტთან მიმართებითაც, რომელიც, მართალია, დღემდე აზრთა სხვადასხვაობისა და დავის საგანია, მაგრამ, ფაქტია, რომ ღირსეული ცხოვრებისათვის ადამიანის ნების ავტონომია და მორალური არჩევანი კონკრეტულ ფარგლებში აკრძალული არ უნდა იყოს. რაც შეეხება სუროგატი დედის ექსპლუატაციას, ფეხმძიმობის პერიოდში მხარეთა ინტერესები ორმხრივი და დაბალანსებულია. თუ თავიდან ერთგვარად პრივილეგირებულნი მშობლობის მსურველნი არიან, ორსულობის დროს ბავშვს სუროგატი დედა ატარებს და მთელი ყურადღებაც მასზეა გადატანილი. მეტიც, ხშირად სწორედ მსგავსი საპასუხისმგებლო მდგომარეობაა სუროგატი დედისათვის საკუთარი თავის დაფასებისა და მოვლის დიდი მოტივაცია მიუხედავად, ალტრუისტული თუ კომერციული სახელშეკრულებო პირობებისა. მთავარია, რომ ისინი საკუთარი სურვილითა და გაცნობიერებული თანხმობით შედიოდნენ ხელშეკრულებაში.

3. სუროგაციის ხელშეკრულება

ხელოვნური განაყოფიერების, ნაყოფის გამოზრდის, მშობიარობისა და მშობლის უფლებების პოტენციურ მშობლებზე გადაცემის შესახებ ხელშეკრულება მომსახურების ტიპის კონტრაქტია. საინტერესოა მისი გამიჯვნის საკითხი ნასყიდობის ხელშეკრულებისაგან, რომელიც სინალაგმატური, კონსესუალური და სასყიდლიანი ხასიათის გარიგებაა. სუროგაციის ხელშეკრულების ნასყიდობის ხელშეკრულებად განხილვის შემთხვევაში, ბავშვი ხდება ყიდვა-გაყიდვის ობიექტი, რაც მისი სამართლებრივი ობიექტივიზაციის რისკს ზრდის. ეს უკანასკნელი კი პირდაპირ ეწინააღმდეგება ეროვნულ თუ საერთაშორისო დონეზე არსებულ ღირებულებებს ადამიანის უფლებების საკითხებში. გასაზიარებელია ის აზრი, რომ სუროგაცია, როგორც მომსახურების ხელშეკრულება, ბევრად კონკრეტული და შესაბამისია ხელშეკრულების მიზანთან და პირობებთან, რადგან მთავარია ხელშეკრულებით განსაზღვრული მომსახურეობის გაწევა პოტენციური მშობლებისადმი და არა თავად საბოლოო შედეგი. ფაქტობრივად ესაა შრომა, როდესაც მისი გადაცემა სავალდებულო არაა. გარიგების ასეთი ფორმულირება საზოგადოების მხრიდან მისდამი დამოკიდებულებას უკეთესობისკენ შეცვლის.⁴² გარდა ამისა, სუროგაციის ხელშეკრულება ჩვეულებრივი გარიგებაა, რომელიც, ცხადია, ექვემდებარება მისი შინაარსის კონტროლის განმსაზღვრელ ცენტრალურ ნორმას და ზღუდავს კერძო ავტონომიის იმ პრინციპს, რომელიც შესაძლოა ბოროტად იქნეს გამოყენებული მხარეთა მიერ ხელშეკრულების არსებითი პირობების

⁴² *ბოგვერაძე ნ.*, სუროგაცია/დონაციის სამართლებრივი რეგულირების პრობლემები საერთაშორისო და ეროვნულ დონეზე, სადისერტაციოს ნაშრომი, 2018, 340-341. იხ. ციტირება *Townsend D. M.*, Surrogate Mother Agreements: Contemporary Legal Aspects of a Biblical Notion, 16 U. Rich. L. Rev., 1982, 471.

ჩამოყალიბების პროცესში. როგორც ცნობილია, მხარეებს აქვთ შესაძლებლობა ზეპირად ან მარტივი წერილობითი ფორმით დადონ გარიგებათა უმრავლესობა.⁴³ თუმცადა, სუროგაციის ხელშეკრულების დადებისათვის ჯანმრთელობის დაცვის შესახებ საქართველოს კანონი იმპერატიულად მოითხოვს წერილობით ფორმას, ხოლო საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანება სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის დამტკიცების შესახებ მიუთითებს სუროგაციის ხელშეკრულების სავალდებულო სანოტარო ფორმით დამოწმების შესახებ, რომელიც განაყოფიერების შედეგად დაბადებული ბავშვის რეგისტრაციის წინაპირობადაა გათვალისწინებული და პროცედურის ჩატარებამდე ნოტარიულად დამოწმებული ხელშეკრულების წარდგენას ავალდებულებს მხარეს.⁴⁴ ფორმადაუცველობა ხელშეკრულების ბათილობას იწვევს, ვინაიდან, იუსტიციის მინისტრის ბრძანებიდან გამომდინარე, დონორის გენეტიკური მასალის გამოყენებისას ბავშვის დასარეგისტრირებლად, ექსტრაკორპორულ განაყოფიერებამდე, სახეზე უნდა იყოს წყვილსა და დონორს შორის შესაბამისი ფორმით დადებული გარიგება. კრიტიკულად რომ შევხედოთ, მოცემულმა საკითხმა შეიძლება პროცედურის ანონიმურობის დაცვის შეუძლებლობის ჩიხში შეგვიყვანოს, რადგან მხარისათვის ცნობილი ხდება დონორის პერსონალური მონაცემები და ისინი, ხშირად, პირადადაც კი ხვდებიან ერთმანეთს. რეალურად კი დამხმარე რეპროდუქციის ტექნოლოგიის გამოყენება პირადი და ოჯახური საიდუმლოების ფარგლებშია მოქცეული.⁴⁵ გავრცელებულია პრაქტიკა, რომლის მიხედვითაც, პოტენციური მშობლები მიმართავენ კომპანიებს და ეს უკანასკნელნი ეძებენ დონორებს, რაც ხშირად სერიოზულ პრობლემებს ქმნის უცხოური გამეტების დონორთა ბაზით სარგებლობის შემთხვევებშიც.⁴⁶ ამის საილუსტრაციოდ საინტერესოა ისეთი სიტუაციები, როდესაც სუროგაციის გზით დაბადებული რამდენიმე ბავშვის მშობლები ვერ იღებენ შვილის დაბადების მოწმობას, ვინაიდან, ისინი უცხო ქვეყნის მოქალაქეები არიან და სუროგაციით საქართველოში ისარგებლეს, შემდგომში კი შეექმნათ პრობლემა შვილის სამშობლოში წაყვანასთან დაკავშირებით. დიდი ხნის განმავლობაში არსებობდა დაპირისპირება სერვისების განვითარების სააგენტოს კანონით დადგენილ მითითებასა და სუროგაციის ცენტრში დამკვიდრებულ პრაქტიკას შორის, ვინაიდან, ამ უკანასკნელის ადმინისტრაცია მიიჩნევდა, რომ მშობლებს გადაულახავი პრობლემები ექმნებოდათ კანონის განახლებული ინტერპრეტაციით. პრობლემური იყო საკითხი იმის შესახებ, რომ კანონი მოითხოვს მშობლებმა იუსტიციის სახლში წარადგინონ სუროგაციის გზით განაყოფიერების დამადასტურებელი საბუთი და განაყოფიერებამდე სანოტარო წესით

⁴³ *დარჯანია თ.*, სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, მუხ. 68-ე, ველ. მე-2.

⁴⁴ „სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2012 წლის 31 იანვრის №18 ბრძანება, მე-19 მუხლი.

⁴⁵ *გელაშვილი ი.*, ჩანასახის სამოქალაქო სამართლებრივი მდგომარეობა, სადისერტაციო ნაშრომი, 2012, 84.

⁴⁶ იქვე.

დამოწმებული ხელშეკრულება, ხოლო, თუ ხელშეკრულება არ არის გაფორმებული კვერცხუჯრედის განაყოფიერებამდე – ე.ი ემბრიობის მიღებამდე, მაშინ სახელმწიფო ბავშვის დაბადების მოწმობაში აღარ წერს მშობელთა მონაცემებს და, შესაბამისად, შეუძლებელია ასეთი ბავშვის ქვეყნიდან გაყვანა, თუ გაცემულ დაბადების მოწმობაში ორივე მშობელი არ არის მითითებული. საქმე ისაა, რომ ბევრი უშვილო წყვილი ქმნის ემბრიონებს და ხშირად წარუმატებლად. სწორედ ამის შემდეგ მიმართავენ ისინი სუროგაციას. არსებული ნორმის პირობებში, წყვილებს შეიძლება მოუწიოთ უკვე არსებული ემბრიონების განადგურება და ახლის შექმნა, ვინაიდან, აუცილებელია ნოტარიულად დამოწმებული ხელშეკრულება და მისი კანონთან შესაბამისობა კონკრეტულ ვადებში, რათა ბავშვს დაბადების მოწმობა ჰქონდეს. აქამდე არსებული რეგლამენტაციით დაბადების მოწმობები, უპრობლემოდ, ერთი სამუშაო დღის ვადაში გაიცემოდა. ხელოვნური განაყოფიერება საკმაოდ ძვირადღირებული პროცედურაა და ხშირად რამდენიმე მცდელობას უკავშირდება, შესაბამისად, უკვე შექმნილი ემბრიონების განადგურება და ახლის შექმნა როგორც სამედიცინო, ისე სამართლებრივი კუთხით ძალიან კომპლექსურია. მეტიც, ხშირად გაყინულ ემბრიონებს წლების შემდეგ იყენებენ და მხოლოდ მაშინ სურთ სუროგატი დედის ორგანიზმში მისი გადატანა, როცა მცდელობები უშედეგოა, რაც არაკომფორტულს ხდის წინასწარ, ზოგჯერ რამდენიმე წლით ადრეც კი, ხელშეკრულების გაფორმებას სუროგატი დედასთან. ამ უკანასკნელის არარსებობის პირობებში კი შესაძლოა წლების წინ საკუთარი გენეტიკური მასალით შექმნა ემბრიონი, თუმცა, ვინაიდან, აუცილებელია ხელშეკრულების გაფორმება სუროგატთან, არსებობს რისკი, რომ მათ საამისოდ აუცილებელი ჯანმრთელობის მდგომარეობა და ასაკი არ ექნებათ, ამიტომ, დამატებით, საჭირო ხდება კვერცხუჯრედის დონორი.⁴⁷ აგრეთვე, მიზანშეწონილია, კანონმდებლობით დარეგულირდეს გამოსაყენებელი გენეტიკური მასალის ოდენობა, დონორობის ჯერადობა, ის ვადები, რომელიც უნდა აშორებდეს დონორის გამეტებსა და ემბრიონის კრიოპრეზერვაციას, რეგლამენტირდეს მისი განადგურების შესახებ მისაღები გადაწყვეტილების პერიოდი და ასე შემდეგ. რიგი სამედიცინო რისკების ანალიზი ცხადყოფს, რომ აუცილებელია აღნიშნული თემატიკის ზედმიწევნითი განხილვა და მისი ჰარმონიზაცია გინეკოლოგიისა და მეანობის საერთაშორისო ფედერაციის რეკომენდაციებთან,⁴⁸ ვინაიდან, ექსტრაკორპორული განაყოფიერება არ არის მხოლოდ სამართლებრივი მნიშვნელობის საკითხი. ყურადსაღებია ის ფაქტიც, რომ კანონი არ აკონკრეტებს სუროგატი დედის კანდიდატების წრეს. აუცილებელი არაა იგი იყოს პოტენციურ მშობლებთან რაიმე სახით დაკავშირებული. მთავარია, რომ წარმოადგენდეს სრულწლოვან, ქმედუნარიან

⁴⁷ მშობლები დაბადების მოწმობებს ვერ იღებენ. სუროგაციის პრაქტიკა კანონის პირისპირ“ <<https://www.radiotavisupleba.ge/a/მშობლები-დაბადების-მოწმობებს-ვერ-იღებენ---სუროგაციის-პრაქტიკა-კანონის-პირისპირ/30148102.html>> [26.03.2022].

⁴⁸ Ethical Issues In Obsterics And Gynecology, The International Federation of Gynaecology and Obstetrics, October 2012, 55-56.

ქალს, რომელსაც ჯანმრთელობის მდგომარეობა ხელს უწყობს, მსურველებს გაუწიოს შესაბამისი მომსახურება. ძირითადად, სუროგატი დედებისა და მშბლების დამაკავშირებელი ინსტიტუტია რიგი სააგენტოებისა, რომლებიც მოგებაზე არიან ორიენტირებულნი და, მიუხედავად იმისა, რომ არც სააგენტო არ არის მხარე, მას შეიძლება ჰქონდეს დამოუკიდებელი სახელშეკრულებო ვალდებულებები სუროგაციაში ჩართულ ნებისმიერ მხარესთან ან სახელშეკრულებო რეზულტატის მიმართ ჰქონდეს პირდაპირი ინტერესი.⁴⁹ თუმცადა, აღსანიშნავია ის ასპექტი, რომ სააგენტოები სუროგატ დედებს უწესებენ იმ რიგ მოთხოვნებსა და გამოკვლევებს, რომელიც ორსულობის წარმატებით განხორციელებას ემსახურება და ავსებს კიდევ იმ კანონისმიერ ბზარს, რომელიც, თავად პროცედურის გარდა, ნებისმიერ სხვა საკითხს მხარეებს მიანდობს და მოუწესრიგებელს ტოვებს. სწორედ ამიტომაც, რომ სუროგაციისათვის შეირჩევიან ისეთი ქალები, რომლებსაც შვილები ჰყავთ. ამით, ერთი მხრივ, თავიდან იცილებენ ბავშვის დატოვების სურვილის არსებობის შესაძლო რისკს, ხოლო, მეორე მხრივ, ასეთი ქალი მსგავს პროცესში უფრო მზად მყოფი და გამოცდილია. რაც მთავარია, აუცილებელია თავად სუროგატი დედის მხრიდან მიღებული თავისუფალი გადაწყვეტილება და გაცნობიერებული თანხმობა ყოველგვარი ზეწოლის გარეშე, ვინაიდან, მან უნდა გაიაზროს, რომ მოუწევს რიგ კომპრომისებზე წასვლა. იქნება ეს ამნიოცენტები, კონკრეტული მედიკამენტოზური მკურნალობა, ზოგჯერ აბორტიც, რომელიც მისი სიცოცხლისთვისაც რისკის მომტანია. მითუმეტეს, იმ სტატისტიკის მიხედვით, როდესაც გესტაციური სუროგაციისას ხშირია ტყუპების, ასევე სამი და მეტი ბავშვის გაჩენის ალბათობა,⁵⁰ მნიშვნელოვანია, დედამ იცოდეს ამ ხანგრძლივ პერიოდთან დაკავშირებული საფრთხეები და პრობლემათა გადაჭრის გზები. სწორედ გაცნობიერებული თანხმობის არარსებობა შეიძლება გახდეს მხარეთა შორის ბავშვის გადაცემაზე დავის მიზეზი, რაც ლოგიკურიცაა, ვინაიდან, მაშინ, როდესაც პოტენციური მშობლები და სუროგატი დედა ხშირად ვერც ხვდებიან ერთმანეთს მთელი ორსულობის განმავლობაში, ინფორმაციული ვაკუუმი სუროგატი დედისათვის რიგი გადაწყვეტილებების მიღების საფუძველი ხდება.

4. კვერცხუჯრედის საქმე, როგორც სამართლებრივად რთული შემთხვევა

სუროგაციის სამართლებრივი რეგლამენტაციისა და მისი პრობლემურობის წარმოსაჩენად, იმ პირობებში, როდესაც სულ უფრო და უფრო მწვავე ხდება საკითხი ხელოვნური განაყოფიერებისა და მისი მოწესრიგების შესახებ 21-ე საუკუნეში, მნიშვნელოვანია, განხილულ იქნეს კვერცხუჯრედის საქმე,

⁴⁹ *Carbone J., Miller C., Surrogacy Professionalism, 31 J. Am. Acad. Matrimonial Law, 2018, 33-34.*

⁵⁰ Key Findings: Use of Gestational Carriers in the United States <https://www.cdc.gov/art/key-findings/gestational-carriers.html> [27.03.2022]

რომელიც პრეცედენტული და საინტერესოა ქართული სამართლებრივი პრაქტიკის განვითარების თვალსაზრისით. საქმის არსი მდგომარეობდა შემდეგში, პირმა აღძრა სარჩელი მისი მეუღლის წინააღმდეგ და მოითხოვა მოსარჩელის აღიარება გენეტიკური შვილის დაბადებისა და მშობლად რეგისტრაციის მიზნით, მისი კვერცხუჯრედით შექმნილ ემბრიონზე, ე.ი მისი უფლების აღიარება გაყინული ემბრიონის სუროგატის სხეულში გადატანისათვის საჭირო თანხმობის ერთპიროვნულ და ცალმხრივ გამოყენებაზე, რაც გამოწვეული იყო იმით, რომ საჭირო გახდა ნაყოფის დროებითი კრიოპრეზერვაცია. ამას გარდა, მან მოითხოვა მოპასუხის თანხმობის აღიარებულად მიჩნევა, რაც ამ უკანასკნელმა შესაგებლით არ ცნო. თბილისის საქალაქო სასამართლომ სარჩელი დააკმაყოფილა⁵¹ და აღიარა მოსარჩელის უფლება მისი და მოპასუხის ერთობლივი ბიოლოგიური მასალით შექმნილ ემბრიონზე, ემბრიონის მის სხეულში გადატანაზე მოპასუხის თანხმობის გარეშე. ჯანმრთელობის დაცვის შესახებ კანონის 143-ე და 144-ე მუხლების თანახმად, ექსტრაკორპორული განაყოფიერება და შემდგომ სუროგატი დედის საშვილოსნოში ემბრიონის გადატანა ხდება წყვილის თანხმობის საფუძველზე, მიუხედავად ამისა, კანონში არაფერია ნათქვამი იმაზე, თუ როგორ უნდა გადაწყდეს დავა მხარეთა შეუთანხმებლობის შემთხვევაში და რა ბედი უნდა ეწიოს ემბრიონს მთელი ამ პერიოდის განმავლობაში. აღნიშნული უკავშირდება როგორც სამართლებრივ, ისე ეთიკურ და მორალურ დილემას. ფაქტობრივად, სასამართლოს უნდა მოეწესრიგებინა მთელი პერიოდის სამართლებრივი ადგილი ემბრიონის შექმნიდან საშვილოსნოში მის იმპლანტაციას შორის. ერთმანეთს დაუპირისპირდა ორი ინტერესი. ერთი მხრივ, ესაა მოსარჩელის უფლება გახდეს მშობელი მამინ, როცა ეს მისი ერთადერთი შანსია, ვინაიდან, მას ჩაუტარდა საშვილოსნოსა და მარცხენა საკვერცხის სუბტოტალური ამპუტაცია და მისი დიაგნოზი უშვილობაა და, მამის ინტერესი, არ გახდეს მშობელი. ორივე მათგანი ადამიანის პიროვნული, თავისუფალი განვითარების უფლების მნიშვნელოვანი ნაწილია. გადაწყვეტილება, გახდეს ან არ გახდეს ადამიანი მშობელი, მისი პირადი ცხოვრების სფეროს განეკუთნება. გენეტიკური შთამომავლობა ქმნის ადამიანური არსებობის მუდმივობის განცდას, რაც დიდი პასუხისმგებლობაცაა და არ შეიძლება იმას მოეთხოვოს, ვისაც ამის სურვილი არ გააჩნია. სასამართლოს მიერ სარჩელის დაკმაყოფილების საფუძველი იყო ის, რომ მოსარჩელეს მთლიანად ესპობოდა პირადი ცხოვრების უფლების საბაზისო კომპონენტი, რომელიც ადამიანის დანიშნულების განმაპირობებელიცაა. მაშინაც კი, როცა ბუნებრივი განაყოფიერებაა სახეზე, მაინც არის ამ ინტერესთა კოლიზიის რისკი, რომელიც დედაზეა მიხედვით, გამოდის, რომ კანონმდებლობა ითვალისწინებს რიგ სიტუაციებს, როდესაც მამაკაცის პირადი ცხოვრების ასპექტი უკან იწევს ქალისა თუ ემბრიონის გათვალისწინებით. საოქმო ფორმის განჩინება გასაჩივრდა სააპელაციო

⁵¹ თბილისის საქალაქო სასამართლოს 2016 წლის 23 ივლისის გადაწყვეტილება საქმეზე N2/1852-14.

წესით. აპელანტი არ გამოცხადდა სხდომაზე, თუმცა ეცნობა მასზე საპროცესო კოდექსის 70-ე და 78-ე მუხლებით დადგენილი წესით. მისი აპელირება ადვოკატზე კი სასამართლომ არ მიიჩნია გადადების საფუძვლად. სააპელაციო საჩივარი დარჩა განუხილველად, მხარემ კი მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და წარადგინა კერძო საჩივარი საოქმო განჩინებაზე. საკასაციო სასამართლომ არ დააკმაყოფილა კერძო საჩივარი, რადგან სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებულ განჩინებას საფუძვლად არ ედო კანონის დარღვევა.⁵² საბოლოო ჯამში, დაკმაყოფილდა მოსარჩელის მოთხოვნა და მას მიეცა უფლება მისი და მისი ქმრის ბიოლოგიური მასალის გამოყენების შედეგად დამოუკიდებლად ჰყოლოდა შვილი, რაზეც ქმრის თანხმობა მიცემულად ჩაითვალა. მოცემული გადაწყვეტილება, ფაქტობრივად, პირველია მსგავსი საკითხების მოწესრიგების ასპექტით და წარმოადგენს პრეცედენტს. სასამართლომ გადაწყვეტილება მიიღო ორ სიკეთეს შორის უპირატესობის მინიჭების თაობაზე, იმ პირობებში, როცა არ არსებობს ამის მომწესრიგებელი არცერთი ნორმა. მიუხედავად ამისა, იგი არ თავისუფლდება მართლმსაჯულების განხორციელების ვალდებულებისაგან. ასეთი ღირებულებითი სტანდარტი და სიკეთეთა ურთიერთშეწონვის სიღრმისეული ანალიზი სამართლებრივ-მორალური დილემის შემთხვევაში სწორი და სამართლიანი სასამართლო მიდგომების, პრაქტიკის საფუძვლად შეგვიძლია განვიხილოთ. სასამართლომ განმარტა საკითხი არსებული ნორმებისა და რეგლამენტაციის მიღმა, შინაგანი რწმენის სამართლებრივი პრინციპების ობიექტურ განსჯაზე დაფუძნებით, რაც მისასაღმებელია. შედარებისათვის უნდა ითქვას, რომ მსგავსი გადაწყვეტილება იქნა მიღებული საქმეზე „ნიჩმანი ნიჩმანის წინააღმდეგ“, ⁵³ რომლის პირობებშიც, დედის ინტერესს მისი უშვილობის გამო მიენიჭა უპირატესობა მამის უფლებასთან – არ გამხდარიყო მშობელი შედარებით. ზოგადად განქორწინებულ მეუღლეთა შორის მათი გამეტებით შექმნილი ემბრიონების სამართლებრივ ბედთან დაკავშირებული დავების გადაწყვეტისას, ზემოხსენებული მიდგომა გამართლებულია. თანამედროვეობა სულ უფრო ხშირად დგება ამ პრობლემის წინაშე. აღსანიშნავია ისიც, რომ სუროგაციასთან დაკავშირებული უფლებები აღქმულ უნდა იქნეს, როგორც პირადი ცხოვრებისა და ოჯახის შექმნის ძრითადი უფლებების შემადგენელი ნაწილი, რაც აამაღლებს მისი დაცვის სტანდარტებს. რეპროდუქციული ჯანმრთელობა არაა მხოლოდ დაავადებათა არარსებობა, არამედ რეპროდუქციული სისტემისა და მის ფუნქციებთან/პროცესებთან დაკავშირებულ ყველა საკითხში ფიზიკური, აგრეთვე გონებრივი და სოციალური სიჯანსაღე, რაც შედეგად იძლევა ადამიანების უფლებას

⁵² საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2016 წლის 23 თებერვლის განჩინება Nას-83-79-2016.

⁵³ Shapo H., Frozen Pre-embryos and The Rights To Change One's Mind, Duke Journal Of Comparative & International Law, Vol. 2002,12.78. Nachmani v. Nachmani, 50(4) P.D. 661 (Isr.).

გამრავლდნენ და მათ თავისუფლებას გადაწყვიტონ როდის და რა სიხშირით განახორციელონ ეს.⁵⁴

დასკვნა

წინამდებარე ნაშრომის ფარგლებში სუროგაციის, როგორც ექსტრაკორპორული განაყოფიერების ანალიზმა ცხადყო, რომ რეპროდუქციის შესაძლებლობა ადამიანის ფუნდამენტური უფლებაა, რომელიც კონკრეტული საკანონმდებლო მოწესრიგების ფარგლებში უნდა განხორციელდეს ისეთ სამედიცინო ტექნოლოგიებთან წვდომითაც, რომელიც ადამიანს აძლევს საშუალებას გახდეს მშობელი როგორც ბიოლოგიური, ისე იურიდიული თვალსაზრისით. სუროგაცია, როგორც ოჯახის დაგეგმვის ფორმა, ბევრი წყვილისათვის წარმოადგენს შვილის შეძენის ერთადერთ გზას, რომლის უგულებელყოფაც დაუშვებელია. იმ პირობებში, როცა საქართველო სტაბილურად ინარჩუნებს კომერციული სუროგაციის ცენტრის სტატუსსა და მნიშვნელობას, აუცილებელია, რომ სუროგაციის გამოყენება ხდებოდეს მხოლოდ კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში, კონტროლის ქმედითი მექანიზმების მეშვეობით. როგორც წინამდებარე მსჯელობაში გამოიკვეთა, მასთან დაკავშირებული ფუნდამენტური საკითხების მოწესრიგება მინდობილი აქვთ მხარეებს, რაც სამართლებრივ ვაკუუმს ქმნის და იძლევა შესაძლებლობას ფორმირდეს ჩრდილოვანი, უკონტროლო ზონა, სადაც აღნიშნული პროცედურა კომერციალიზაციის ბაზაზე ხორციელდება, ნაცვლად იმისა, რომ დაცული იყოს მისი მიზანი და დანიშნულება – მისცეს წყვილებს შვილის ყოლის უნარი. პრობლემურია აგრეთვე ქართული კანონმდებლობის არასრულყოფილება, რომელიც არ აკონკრეტებს სუროგატ პირთა წრეს, გაუმართლებლად ავიწროებს ხელოვნური განაყოფიერების გამოყენების უფლებამოსილებას და მოუწესრიგებლად ტოვებს სუროგაციისას მიმდინარე საკითხებს მშობლების, სუროგატი დედის, ბავშვისა და შესაძლო რისკების დაზღვევის შესახებ. მნიშვნელოვანია, კანონმდებლობით განისაზღვროს როგორც სუროგაციის შეთანხმების საწყისი ეტაპი, ისე ორსულობისა და მშობიარობის პერიოდები. აგრეთვე, სახელმძღვანელო დებულებები ბავშვის, როგორც დამოუკიდებელი უფლებების მატარებელი სუბიექტისა და მისი საუკეთესო ინტერესების უზრუნველყოფის შესახებ. დაუშვებელია სუროგაციის გამოყენება კომერციული მიზნებისათვის, რაც, ერთი მხრივ, იწვევს სუროგატი დედების ექსპლუატაციას, მეორე მხრივ კი, სამართლის სუბიექტთა სამართლის ობიექტად წარმოჩენას. მითუმეტეს, მაშინ, როდესაც არ არსებობს ერთიანი, უნიფიცირებული მიდგომა აღნიშნული საკითხის შესახებ, ვინაიდან,

⁵⁴ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მოსახლეობისა და განვითარების საკითხებისადმი მიძღვნილი საერთაშორისო კონფერენცია, სამოქმედო პროგრამა პარაგრაფი 7.2. <http://www.unfpa.org/sites/default/files/pubpdf/programme_of_action_Web%20ENGLISH.pdf> [30.01.2022].

იგი არის როგორც სამართლებრივი, ისე მორალური და ეთიკური პრობლემა და მისი რეგლამენტაცია ეროვნული კანონმდებლობისათვისაა მინდობილი, მეტია სახელმწიფოს პასუხისმგებლობა შექმნას ადამიანის უფლებებთან და თავისუფლებებთან, ასევე სუროგაციის არსთან შესაბამისი საკანონმდებლო ბაზა და კონტროლის სისტემა. მაშინ, როცა, სწორედ ახლა ინერგება პრაქტიკა მოცემულ თემატიკასთან დაკავშირებით, მნიშვნელოვანია, გამოყენებულ იქნეს არსებული საერთაშორისო სამართლებრივი პრაქტიკა და სახელმძღვანელო პრინციპები, რომლებიც ზემოთ განხილულ კონვენციებსა თუ ოქმებშია მოცემული. წინააღმდეგ შემთხვევაში, დიდია რისკი როგორც არაერთვაროვანი პრაქტიკის ჩამოყალიბებისა, ისე ამ უკანასკნელით ადამიანის ძირითად უფლებებში გაუმართლებელი ინტერვენციისა.

ბიბლიოგრაფია

1. საქართველოს კონსტიტუცია <https://matsne.gov.ge/ka/document/view/30346?publication=36->
 2. „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონი <https://matsne.gov.ge/ka/document/view/29980?publication=46?>
 3. „ადამიანის უფლებებისა და ბიომედიცინის შესახებ“ კონვენცია <https://matsne.gov.ge/ka/document/view/1204413?publication=0?>
 4. „სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2012 წლის 31 იანვრის ბრძანება
 5. 2020 წლის 25 აგვისტოს საქართველოს იუსტიციის მინისტრის N 598 ბრძანება „სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის წესის დამტკიცების შესახებ“
 6. *ახალაძე ნ.* სუროგაციის ხელშეკრულების სუბიექტის სამართლებრივი მდგომარეობა, თბილისი, 2019
 7. *ბოგვერაძე ნ.*, სუროგაცია/დონაციის სამართლებრივი რეგულირების პრობლემები საერთაშორისო და ეროვნულ დონეზე, თბილისი, 2017
 8. *გელაშვილი ი.*, ჩანასახის სამოქალაქო სამართლებრივი მდგომარეობა, სადისერტაციო ნაშრომი, 2012
 9. *დარჯანია თ.*, სამოქალაქო კოდექსის კომენტარი
 10. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2016 წლის 23 ივლისის გადაწყვეტილება N2/1852-14
 11. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2016 წლის 23 თებერვლის განჩინება Nას-83-79-2016
 12. მშობლები დაბადების მოწმობებს ვერ იღებენ. სუროგაციის პრაქტიკა კანონის პირისპირ“ <[https://www.radiotavisupleba.ge/a/მშობლები-დაბადების-მოწმობებს-ვერ-იღებენ---](https://www.radiotavisupleba.ge/a/მშობლები-დაბადების-მოწმობებს-ვერ-იღებენ---სუროგაციის-პრაქტიკა-კანონის-პირისპირ/30148102.html) სუროგაციის-პრაქტიკა-კანონის-პირისპირ/30148102.html> „სქესობრივი და რეპროდუქციული ჯანმრთელობა:<https://georgia.unfpa.org/ka/topics/სქესობრივი-და-რეპროდუქციული-ჯანმრთელობა>
- გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მოსახლეობისა და განვითარების საკითხებისადმი მიძღვნილი საერთაშორისო კონფერენცია, სამოქმედო პროგრამა; <<http://www.unfpa.org/sites/default/files/pubpdf/>
13. Greek Civil Code, Article 1458, Law 3089/2002 , Enforcement of Medically Assisted Reproduction, Article 13, Law 3305/2005
 14. Internal Policies, Policy Department C: Citizens' Rights and Constitutional Affairs, 2013
 15. Hevia M., Surrogacy, privacy, and the American Convention on Human Rights, Journal of Law and the Biosciences, Volume 5, Issue 2, (August 2018)

16. Carbone J., Miller C., Surrogacy Professionalism, 31 J. Am. Acad. Matrimonial Law. (2018)
17. London C., Advancing a Surrogate-Focused Model of Gestational Surrogacy Contracts, 18 Cardozo J.L. & Gender, 2012
18. Zehr J., Using Gestational Surrogacy and Pre-Implantation Genetic Diagnosis: Are Intended Parents Now Manufacturing the Idyllic Infant, 20 Loy. Consumer L. Rev. 2008
19. Tobin, J. To Prohibit Or Permit: What Is The (Human) Rights Response To The Practice Of International Commercial Surrogacy? International and Comparative Law Quarterly, 2014
20. Strasser M., Traditional Surrogacy Contracts, Partial Enforcement, and the Challenge for Family Law, Journal of Health Care Law and Policy, Vol. 18, Issue 1, 2015
21. Bewkes F., Surrogate or Mother: The Problem of Traditional Surrogacy, 3 Tenn. J. Race Gender & Soc. Just. 2014
22. Ethical Issues In Obsterics And Gynecology, The International Federation of Gynaecology and ecologyand October 2012
23. Vodo T., Altruistic Surrogacy, Why to oppose empathetic gestures?, ECPM, 2016
24. Cohen I. G., Note, The Price Of Everything, The Value Of Nothing: Reframing The Commodification Debate, 117 HARV. L. REV. (2003–04)
25. A Comparative Study on the Regime of Surrogacy in EU Member States, European Parliament's Committee on Legal Affairs, May 2013, 26
26. *Beyleveld D.*, Brownsword R., Human Dignity in Bioethics and Biolaw, Oxford University Press, Oxford, 2001,40-44
27. *Brunet L., Carruthers J., Davaki K., King D., Marzo C., Mccandless J.*, A Comparative Study on the Regime of Surrogacy in EU Member States, European Parliament, Directorate-General for
28. *Calvert v. Johnson* კალვერტი ჯონსონის წინააღმდეგ, <https://caselaw.findlaw.com/ca-supreme-court/1774439.html>
29. *Cho udhury C.*, Transnational Commercial Surrogacy: Contracts, Conflicts, and the Prospects of International Legal Regulation, Oxford Handbooks Online, (2016)
30. Council of Europe, Explanatory Report to the Convention for the Protection of Human Rights and DigniHuman the human Being with regard to the Application of Biology and Medicine: Convention on Human Rights and Biomedicine, 1998 <https://rm.coe.int/16803113e4>
31. *Damelio J. and Sorensen K.*, Enhancing Autonomy in Paid Surrogacy, Bioethics, Vol. 22
32. Ethical Issues In Obsterics And Gynecology, The International Federation of Gynaecologyand Obstetrics, October 2012
33. *Kimbrell A.*, The Case Against the Commercialization of Childbearing, Willamette Law Review, Vol. 24, Issue 4, 1988, 1036
34. Legal Regulation at the International Level, Edited by K. Trimmings and P. Beaumont, Oxford-Portland-Oregon, 2013,
35. *Perreau-Saussine L. and Sauvage N.*, France, in: International Surrogacy Arrangements,
36. Report of the Special Rapporteur on the sale and sexual exploitation of children, including child prostitution, child pornography and other child sexual abuse material, United Nations General Assembly, 2018
37. Report on Human Artificial Procreation Principles-Set out in the Report of the Ad Ho Committee of Experts on Progress in The Biomedical Sciences, 1989. <<https://rm.coe.int/16803113e4>>
38. Shapo H., Frozen Pre-embryos and The Rights To Change One's Mind, Duke Journal Of Comparative & International Law, Vol. 12, 2002,78. Nachmani v. Nachmani, 50(4) P.D. 661 (Isr.)
39. *Sreenivas K.*, Domestic and International Surrogacy Laws: Implications for Cancer Survivors, Woodruff Lab, Chicago, Chapter 10, (2010)
40. *Winslade W. J.*, Surrogate Mothers: Private Right or Public Wrong?, Journal of Medical Ethics, Vol. 7, Issue 3, 1981
41. Surrogacy survey 2018 <https://surrogacyuk.org/2018/12/31/surrogacy-survey-2018-results/> , Second Report of the Surrogacy UK Working Group on Surrogacy Law Reform, Surrogacy in the UK, (December 2018)

42. “Inheriting Genetic Conditions” <https://www.health.com/pregnancy/having-baby-with-gestational-surrogate>
43. Key findings: Use of Gestational Carriers in the United States <https://www.cdc.gov/art/key-findings/gestational-carriers.html>
44. “preimplantation genetic diagnosis” <https://americanpregnancy.org/infertility/preimplantation-genetic-diagnosis>

Nutsa Meunargia*

Some Problematic Aspects of Legal Regulation of Surrogacy

The 21st century is an era of scientific and technological progress. Advances in medicine have enabled people to receive services that were previously unimaginable. An example of this is surrogacy, which is defined as the conception and use of artificial embryos without sexual intercourse between a woman and a man. In fact, it is one of the main forms of family planning and reproductive tourism services. The urgency of the research is determined by the moral-ethical and legal issues related to in vitro fertilization. The paper serves to draw a sharp line between infertility treatment and the commercialization-exploitation of the legal entity. Normative acts regulating the issue contain obvious shortcomings. Medical methods actively used in practice remain beyond regulation, creating a legal vacuum and the threat of unjustified interference with human rights. The introductory part of the paper reviews the essence of surrogacy and its purpose in modern society, the next stage is dedicated to the medical-legal definition and criticism of the types of in vitro fertilization, the search between the form of the surrogacy agreement, the substantive terms and the registration, as this has long been the subject of controversy in reality. Finally, as a result of systematic and comparative methods of research, this article proposes the analysis of these problems and alternative ways of solving them, which are based on international standards and are aimed at harmonization with them.

Keywords: *Surrogacy, convention, commercialization, exploitation, infertility, surrogate mom.*

* Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Faculty of Law, BA Student.